პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № ----
2023 წ.--------- ივლისი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებას (www.matsne.gov.ge, 05/12/2017, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016298) თანდართულ რეგლამენტში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]“ ქვეპუნქტი:
„თ[1]) საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება;“.

2. მე-17 მუხლის:
ა) მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას, ადგენს განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;“.
ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,5. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ამ რეგლამენტის 99-ე მუხლით დადგენილი წესით გადარჩევის, თანამდებობიდან გადადგომის, მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევაში.“.

3. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,7. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) უფლებამოსილება ვადამდე უწყდება ამ რეგლამენტის 101-ე მუხლით დადგენილი წესით გადარჩევის, თანამდებობიდან გადადგომის, მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევაში.“.

4. მე-19 მუხლი ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ა) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტს;

ბ) უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დაუყოვნებლივ შეტანას;“.

5. 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. კომისიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30[1] მუხლის მე-2 პუნქტით, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით და ამ რეგლამენტის 103-ე მუხლით დადგენილი წესით გადარჩევის, თანამდებობიდან გადადგომის, მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევაში.

6. 50-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. დაუშვებელია საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებითი საკითხის შეტანა, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე, რომლებიც საკრებულოს მიერ მიიღება ცნობად.“.

ბ) მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,6[1]“ პუნქტი:

,,6[1]. მერი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. ამ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს კანონითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი და ინიციატორი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

2. პროექტის ავტორი: ენვერ ჯაფარიძე საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში და **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:** ლავრენტი ბიგვავა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი“ შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან რეგლამენტის სრულ შესაბამისობას.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, ცვლილებების შეტანა ხდება რეგლამენტის:

1. მე-3 მუხლის **მე-3 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „თ[1]“ ქვეპუნქტი**, სადაც ორგანიზაციულ საქმიანობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას ემატება, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

2. იცვლება მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია, სადაც საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას, ადგენს განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას. ასევე იცვლება მე-17 მუხლის მე-5 პუქტი, სადაც ტექსტში მითითებული კანონის დასახელება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით“ იცვლება კანონის ახალი დასახელებით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. **მე-18 მუხლის მე-7 პუნქტის ტექსტში** მითითებული კანონის დასახელება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით“ იცვლება კანონის ახალი დასახელებით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. **მე-19 მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების მოქმედი რედაქცია იცვლება, სადაც საკრებულოს ბიუროს უფლებამოსილების ნაწილში, ბიურო: ,,ა)** შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტს;

ბ) უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დაუყოვნებლივ შეტანას;“.

5. **26-ე მუხლის მე-6 პუნქტის ტექსტს ემატება კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული რამდენიმე საფუძველი, ასევე ტექსტში** მითითებული კანონის დასახელება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით“ იცვლება კანონის ახალი დასახელებით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

6. **50-ე მუხლის მე-6 პუნქტში, სადაც ტექსტში მითითებული ,,გარდა ამ რეგლამენტით დადგენილი იმ საკითხებისა, რომლებიც საკრებულოს მიერ მიიღება ცნობად” იცვლება და ჩამოყალიბება ხდება ახალი რედაქციით:** ,,6. დაუშვებელია საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში დამატებითი

საკითხის შეტანა, გარდა ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე, რომლებიც საკრებულოს მიერ მიიღება ცნობად.“, რომელიც არსებით გავლენას არ ახდენს პუნქტის შინაარსობრივ ნაწილზე.

გარდა ამისა, 50-ე მუხლს ემატება 6[1] პუნქტი, სადაც საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვის ნაწილში შემოდის შემდეგი შინაარსის ახალი პუნქტი: ,,6[1]. მერი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე. ამ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს კანონითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები.“.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

- პროექტის მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანას

6. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

- ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

7. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის - აგვისტო.